



თსუ

1918

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო და უან მონეს ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამები დაამტკიცა

2022 წლის 11 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ორი საგანმანათლებლო პროგრამა - ევროკავშირის Erasmus+ პროექტის ფარგლებში შემუშავებული უან მონეს ევროპისმცოდნეობის ახალი საბაკალავრო პროგრამა და მოქმედი ინგლისურენოვანი ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა (Master's in European Studies) რეაკრედიტაციის მიზნებისთვის ერთხმად დაამტკიცა. მოხარულები ვართ, რომ პროგრამების დამტკიცება დაემთხვა საქართველოსთვის ისტორიულ მოვლენას. სწორედ, დღეს საქართველოს ოფიციალურად გადაეცა ევროკავშირში განწევრიანების კითხვარი.

ახლად შემუშავებული უან მონეს ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა და ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მხარდაჭერილ იქნა 2022 წლის 20 მარტს, ხოლო ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მიერ დამტკიცდა 2022 წლის 27 მარტს. პროგრამებს თსუ იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ მხარი დაუჭირა 2022 წლის 8 აპრილს გამართულ სხდომაზე. პროგრამების საუნივერსიტეტო დონეზე დამტკიცების საბოლოო ეტაპი წარმატებულად დასრულდა თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

ვულოცავთ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის თითოეულ თანამშრომელს, პროგრამების განახლება-შემუშავებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ პირს და სრულიად უნივერსიტეტს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
მის: ი. ჭავჭავაძის NI
ტელ: 2 22 23 91;
ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge

Academic Council of Ivane Javakhishvili Tbilisi State University approved for the accreditation purposes the interdisciplinary Master's Programme in European Studies (established under EC TACIS project) as well as the new Jean Monnet Bachelor's Programme in European Studies (established under EU Erasmus+ project) of the TSU Institute for European Studies

On 11th of April 2022 two academic programmes of the Institute for European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University – the Master's Programme in European Studies (established under EC TACIS project) as well as the new Jean Monnet Bachelor's Programme in European Studies (established under EU Erasmus+ project) were approved by the Academic Council of TSU. This successful development coincided with the symbolic date for our country as the same day Georgia had been handed over the questionnaire by Commission on the EU membership application.

Bachelor's programme in European Studies of TSU Institute for European Studies have been developed and designed within the frames of the EU funded ERASMUS+ Jean Monnet Project – "EUSTBA- Establishing Interdisciplinary Bachelor's Programme in European Studies at Tbilisi State University", with the active involvement of the administrative and academic staff of IES, the representatives of the relevant offices of TSU and the experts from the partner EU universities. Different phases of the programme development process had been supported by the representatives of the diplomatic missions, the members of the EP and Georgian institutions including the state officials of the relevant line Ministries, IES students and alumni, employers and other stakeholders.

Before this very important decision on approval made by the TSU Academic Council, both the Master's and the Jean Monnet Undergraduate programmes in European Studies had undergone the three tier scrutiny process within the TSU: On 20th March 2022 the programmes had been asserted by the Scientific Council of Institute for European Studies, followed by securing the approval of the special programmes' Development Committee on the 27th of March 2022 as well as the voting by Council of the Law Faculty on the 8th of April 2022. After decision made by the TSU Academic Council, the accreditation process is officially launched!

We would like to congratulate with this successful outcome the wonderful Team of IES and all involved stakeholders! More to come!

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
მის: ი. ჭავჭავაძის N1
ტელ: 2 22 23 91;
ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge*